

ბსუ-ს სტუდენტთა გზამკვლევი

VIII თავი

კვალიფიკაციის მინიჭება და დიპლომის გაცემა

(განახლებული რედაქცია - სექტემბერი, 2023 წ)

ბსუ-ში აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის სტანდარტული დანართით დამზადებისა და გაცემის რეგულაცია განსაზღვრულია ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის N111 დადგენილებით დამტკიცებულ „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“ (წინამდებარე გზამკვლევის **დანართი N2**), ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებით დამტკიცებულ „ბსუ-ს დოქტორანტურის დებულებაში“ (წინამდებარე გზამკვლევის **დანართი N20**) და ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 29 სექტემბრის N06 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ „ბსუ-ს სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესში“ (წინამდებარე გზამკვლევის **დანართი N3**).

საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ, ფაკულტეტის დეკანი კომისიური წესით უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა პირადი საქმეების შესწავლას. საკვალიფიკაციო კომისიის შემადგენლობაში უნდა შედიოდნენ: ფაკულტეტის დეკანი; ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, შესაბამისი დარგობრივი დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, ფაკულტეტის დეკანის ოფისის სპეციალისტი.

საკვალიფიკაციო კომისია ამზადებს დასკვნას ფაკულტეტის საბჭოსათვის წარსადგენად. კომისიის დასკვნაში უნდა აღინიშნოს თითოეული კურსდამთავრებულისათვის მისანიჭებელი კვალიფიკაციისა და სპეციალობის დასახელება (ქართულ და ინგლისურ ენებზე).

საკვალიფიკაციო კომისიის დასკვნის საფუძველზე ფაკულტეტის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას სტუდენტისთვის აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე, რაც კანონმდებლობით დადგენილ ვადაში აისახება უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში და ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით ბსუ-ს რექტორი გამოსცემს ბრძანებას სტუდენტისათვის დიპლომის შესაბამისი სტანდარტული დანართით დამზადებისა და გაცემის შესახებ. დიპლომის სტანდარტული დანართით გაცემა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობისა და „ბსუ-ს სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესის“ შესაბამისად.

სტუდენტს, რომელმაც არ ან ვერ დაასრულა საგანმანათლებლო პროგრამა, უწყდება ბსუ-ს სტუდენტის სტატუსი.

დოქტორის აკადემიურ ხარისხს (Ph.D) ბსუ-ს დოქტორანტს ანიჭებს შესაბამისი ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო, ამ საბჭოს დებულებისა და ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების“ შესაბამისად (წინამდებარე გზამკვლევის **დანართი N20**).